



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის ჩარჩო
დოკუმენტი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II
პროექტის განსახორციელებლად

თბილისი 2012

1. შესავალი

1. ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასებისა და დაცვის პრინციპების განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტი მომზადდა მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II პროექტის (SLRP-II) საჭიროებისათვის. პროექტის ფარგლებში მოხდება არსებული გზების მაღალ პრიორიტეტული მონაკვეთების რეაბილიტაცია, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზები. პროექტის ფარგლებში მოქმედებს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის 2 დოკუმენტი: OP/BP 4.01 ბუნებრივი გარემოს შეფასება და OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება. მსოფლიო ბანკის OP/BP E4.01 დოკუმენტის თანახმად, პროექტი გარემოსდაცვითი კუთხით კლასიფიცირდება როგორც “ბ” კატეგორიის მქონე. წინამდებარე ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტში მოცემულია პროექტის შესაბამისი ბუნებრივი გარემოს მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სახელმძღვანელო მითითებები როგორც ინდივიდუალური ინვესტირებისთვის, ისე საჯარო პრეზენტაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის შესაძლო გავლენის შესახებ კონსულტაციების მიზნით. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად ქართული ეროვნული კანონმდებლობით ბუნებრივი გარემოს არანაირი სახის შეფასება, მენეჯმენტის გეგმა, განხილვა და ნებართვები მოთხოვნილი არ არის. ამდენად, პროექტის განხორციელების პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების სათანადო შემოწმება მოხდება მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის OP/BP E4.12-ის თანახმად მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია სამართლიანი კომპენსაციის ძირითადი პრინციპები პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ საკუთრების ან ნებისმიერი აქტივების გამოყენების უფლების არანებაყოფლობითი დათმობისთვის. აღნიშნული ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის შემუშავდება ადგილ-სპეციფიკური განსახლების სამოქმედო გეგმები, რომელთა მოსამზადებლად გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის OP/BP 4.12. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევები შესაძლოა იშვიათი იყოს, მათი სათანადო რეგულირებისთვის უნდა არსებობდეს დაგეგმილი ღონისძიებები, საჭიროების მიხედვით.

II. მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპები ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის შესახებ

2.1 ძირითადი პრინციპები

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სახელმძღვანელო პრინციპებს. სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვის პროცესის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მიზანშეწონილობა, იმ სახით შემუშავება, რომ დააკმაყოფილოს როგორც შესაბამისი ნორმატიული მოთხოვნები, ასევე ბანკის ინსტრუქციები და არ გამოიწვიოს ბუნებრივ გარემოსთან, ჯანმრთელობასთან ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები ან სოციალური ზეგავლენის და რისკების გაზრდა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ.

მსოფლიო ბანკისთვის პრიორიტეტულია პროექტის იმგვარად შემუშავება, რომ პროგრამის ყველა ეტაპზე ასახავდეს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოების ჩართულობის შედეგებს, სადაც სახელმწიფო ინტერესები კერძო ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებთან იქნება შერწყმული. ამ მიზნით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელიც არის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II პროექტის განმახორციელებელი უწყება, უნდა უზრუნველყოს რომ ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის შემუშავებული ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმები და განსახლების სამოქმედო გეგმები მოიცავდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან კონსულტაციებსა და საჯარო განხილვებს.

მსოფლიო ბანკი აღიარებს მასპინძელი ქვეყნის მიერ კომპაქტის ფლობის პრინციპებს, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის პასუხისმგებლობას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური გავლენის შემარბილებელ ზომებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს მასპინძელ ქვეყანაში მოქმედ კანონებს, წესებსა და სტანდარტებს, ისევე როგორც იმ მოთხოვნებს, რომელთა თანახმად მასპინძელ ქვეყანას გააჩნია ვალდებულებები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობის თანახმად შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად არ მოითხოვება გარემოსდაცვითი შეფასება, ექსპერტიზა და ნებართვები, ნებისმიერი სხვა ტიპის წესები, ნორმები ან სტანდარტები, რომელიც შესაძლოა ეხებოდეს პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებს, დაცული და დაკმაყოფილებული უნდა იქნას.

2.2 მცირემაშტაბიანი საგზაო სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტების გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ინდივიდუალური საგზაო მონაკვეთების სავარაუდო ჩამონათვალი შესაძლოა პროექტის მიმდინარეობისას განახლდეს და იმ ფაქტის მიუხედავად, რომ დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია არ არის დასრულებული სამუშაო პროგრამაში ამჟამად მითითებული ყველა მონაკვეთისთვის, წინასწარ ცნობილია მომავალი სამუშაოების ხასიათი, მაშტაბი და პოტენციური გავლენა. მცირე საგზაო სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში მოსალოდნელი ნეგატიური გავლენა ტიპიურია და თითქმის მსგავსია დაგეგმილი ყველა ინდივიდუალური ინვესტიციისათვის. ამდენად, მცირემაშტაბიანი საგზაო სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტების გარემოსდაცვითი მენეჯმენტის კითხვარი გამოყენებული იქნება როგორც ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტი. პროექტში შემავალი თითოეული საგზაო მონაკვეთისთვის შესავსები კითხვარები უნდა მოიცავდეს: საპროექტო უბნის მოკლე აღწერას, დაგეგმილი სამუშაოების ტექნიკურ მონახაზებს, ამგვარი სამუშაოების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან ასოცირებულ მოსალოდნელ რისკებს, მათი შემცირების ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების გატარების მონიტორინგის გეგმას. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის შევსებული კითხვარები ექვემდებარება მსოფლიო ბანკის მიერ განხილვასა და დამტკიცებას.

2.3 საჯარო შეხვედრები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (სგდ) უნდა უზრუნველყოს ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმისა და განსახლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიების საზოგადოებისთვის გაცნობა (საჭიროებისამებრ) მედია საშუალებებით და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან უნდა მოაწყოს საკონსულტაციო შეხვედრები გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმების სამუშაო ვერსიებზე მათი მოსაზრების გასაგებად. მომზადდება და შეინახება ამ საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები.

2.4 მონიტორინგი

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი იქნება სგდ-ს მიერ შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების II პროექტით

გათვალისწინებულ სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განუყოფელი ნაწილი. სგდ პასუხისმგებელი იქნება ყველა მოქმედი სამუშაო უბნიდან ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან შესაბამისობის ამსახველი დასურათებული ანგარიშების წარმოდგენაზე. ადგილ-სპეციფიკურ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მომზადდეს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის განხორციელებისა და წარმოშობილი სოციალური რისკების ამსახველი ანგარიშები, რასაც უნდა მოიცავდეს მსოფლიო ბანკისთვის მისაწოდებელი პროექტის მიმდინარეობის ყოველთვიური ანგარიში. ნებისმიერი სახის კატასტროფები, გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მოულოდნელად აღმოცენებული გარემოსდაცვითი საკითხები ან სპეციფიკური ხასიათის პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მსოფლიო ბანკს, რეგულარული ანგარიშების გრაფიკის განურჩევლად.

III. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) მიერ გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პროცედურები

სგდ პასუხისმგებელია ჯეროვნად გამოიყენოს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებები. სგდ-ს მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვა უნდა ითვალისწინებდეს, რომ (i) ყველა სარეაბილიტაციო საგზაო მონაკვეთისათვის არსებობდეს დამაკმაყოფილებელი ადგილ სპეციფიური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმები და საჭიროების შემთხვევაში განსახლების სამოქმედო გეგმები (გსგ); (ii) არსებობდეს საჭირო ნებართვები ნაგვის/ნარჩენების მოსათავსებლად, ქვის სამტეხლოსათვის და კარიერებისათვის, ასფალტის/ბეტონის ქარხნის მუშაობისათვის, და აშ საჭიროებიდან გამომდინარე; (iii) ადგილ სპეციფიური გზებში და გსგ-ებში გათვალისწინებული შემამსუბუქებელი ღონისძიებების სათანადო გამოყენება სამუშაოების მიმდინარეობისას და მათი დასრულებისთანავე; და (iv) შრომის უსაფრთხოების კანონის დაცვა ისევე როგორც მოძრაობის უსაფრთხოებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო მოედანზე და მის შემოგარენში. ამ სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სგდ-მ უნდა შეიმუშავოს ადგილ სპეციფიური გზებში იმ საგზაო მონაკვეთებისათვის, რომლებიც შეირჩა სარეაბილიტაციოდ, გამოიყენოს გზ-ს ხარისხის კონტროლი საგზაო აქტივების მართვისათვის, რომელიც მომზადდა კონტრაქტორების მიერ შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (PBC) ფარგლებში, უზრუნველყოს გზ-ების ჩართვა სარეაბილიტაციო სამუშაოების სატენდერო დოკუმენტებში და მათი გათვალისწინება სამუშაოების კონტრაქტებში, შეინარჩუნოს სამუშაოების გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი, და შეაფასოს შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტების კონტრაქტორების გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულება როგორც მათი ანგარიშსწორების პროცედურის ნაწილი. სგდ შეძლებს ამ ფუნქციების განხორციელებას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ინსტიტუციონალური გაძლიერების გზით, ისე, რომ იყოლიოს დეპარტამენტის 5 თანამშრომლისაგან შემდგარი გარემოსდაცვითი განყოფილება, რომელთაც ექნებათ სათანადო განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, ასევე დაიქირაოს დამოუკიდებელი მაღალკვალიფიციური გარემოსდაცვის სპეციალისტი. ეს ღონისძიებები გამოიხრება სგდ-ს გადაუდებელი ზოგადი ინსტიტუციონალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ასევე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სგდ-ს მიერ SLRP II-ისა და სხვა მიმდინარე სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელება ბანკის მხარდაჭერით.

IV. მოსალოდნელი რისკები და მათი შემსუბუქება

4.1. გარემოზე პოტენციური ზემოქმედება

SLRP II მხარს უჭერს არსებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს არსებული განთვისების ზოლში, გზის სავალი ნაწილის შესამჩნევი გაფართოვების ან მიმართულების შეცვლის გარეშე. ამ გზების უმეტესობა გადის მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებულ ლანდშაფტზე, მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისაგან და ბიოლოგიურად მრავალფეროვანი ადგილებისაგან მოშორებით. სარეაბილიტაციოდ მოაზრებული სამი საგზაო მონაკვეთი ხვდება მიზნობრივი ობიექტების სავარაუდო სიაში: ორი- მიდის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან შიო მღვიმესა და დავით გარეჯთან, და ერთი გადის რთულ მთიან რელიეფზე თუშეთში. სამუშაოები ამ გზებზე მოითხოვს მეტ სიფრთხილეს სხვა გზებთან შედარებით. შიო მღვიმესა და დავით გარეჯთან მიმავალი მონაკვეთების რეაბილიტაციას პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება ამ ისტორიულ ძეგლებზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ტურისტულ დანიშნულებებთან მისასვლელ გზას, მათი რეაბილიტაცია საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სამუშაოების დასრულებისას დასუფთავებისა და ლანდშაფტის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, ისე რომ, ობიექტის ესთეტიური მახასიათებლები არ იქნეს შელახული. სამუშაოები თუშეთის მთიან ვიწრო კრიტიკულ მონაკვეთში მიზნად უნდა ისახავდეს მოძრაობის უსაფრთხოებას იმ ადგილებში, რომელიც მიდრეკილია ფერდობების ეროზიისა და ზეგავსაშიშროებისაკენ. ამ ადგილებში სამუშაოების ორგანიზაცია საჭიროებს ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების/მართვის გონივრულ გადაწყვეტას, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების სწორ მუშაობას, და მუშების მიერ პერსონალური უსაფრთხოების წესების მკაცრ დაცვას. მოსალოდნელია, რომ გზის სხვა დანარჩენ მონაკვეთებზე პოტენციური გარემოსდაცვითი პრობლემები იქნება უმნიშვნელო და მცირე მასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი, რომელიც ძირითადად მოიცავს: სამშენებლო ნაგვის მართვას, ბუნებრივი სამშენებლო მასალების (გრუნტი/ხრეში/ქვიშა) წყაროს, ასფალტის/ბეტონის პატარა ქარხნების მუშაობას, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების რემონტი/მუშაობას. ყოველივე ეს აღწერილი უნდა იყოს დეტალურად ადგილ სპეციფიურ გზებში, რომელიც უნდა მომზადდეს, განიხილოს და დამტკიცდეს ინდივიდუალური ინვესტიციისათვის.

4.2. პოტენციური სოციალური ზეგავლენა

პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის დიდი ოდენობით მიწების ათვისება და მაცხოვრებლების ფიზიკური გადაადგილება; პროექტი არ აფინანსებს ახალი გზის მშენებლობას და სამუშაოები ჩატარდება გზების არსებულ მიმართულებებზე. მიუხედავად ამისა SLRP I-ის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მცირედი მიწების ათვისებამ არსებული განთვისების ზოლის გასწვრივ ხელი შეუწყო არსებული განთვისების ზოლოს გეომეტრიული სტანდარტების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნა დრენაჟისათვის სათანადო სივრცე, გაიზარდა გზის დამატებითი უსაფრთხოების საშუალებები როგორცაა ტროტუარები, გზაჯვარედინები, თვალამრიდები, და დამცავი ბარიერები. დამატებით, მიწების გამოსყიდვა შესაძლოა აუცილებელი შეიქმნეს

გაუთვალისწინებელი შემთხვევების პირობებში, როგორცაა მეწყერი, სადაც ძველი მიმართულება უკვე აღარ იქნება მისაღები და შეცვლილი გზის ოპტიმალური პროექტი საჭიროებს დამატებით და გაზრდილ მიწის ფართობს. ყველა ამ მიზეზის და გამო, და უფრო მეტად კი უსაფრთხოების გამო, პროექტი ითვალისწინებს OP4.12. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი უნდა მომზადდეს სგდ-ს მიერ და უნდა დამტკიცდეს მსოფლიო ბანკის მიერ. ადგილ სპეციფიკური გსგ-ები უნდა მომზადდეს – საჭიროებისამებრ – პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი და გსგ უნდა ასახავდეს ასათვისებელი მიწების რაოდენობის ზუსტ კალკულაციას, ასევე მიწების ათვისების შედაგად გამოწვეული ზეგავლენის იდენტიფიცირებას და შემამსუბუქებელ ღონისძიებებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის და გსგ-ის განხორციელების მიზანია, რომ მიწების დაკარგვამ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საცხოვრებელ პირობებსა და საარსებო წყაროზე არ იქონიოს ნეგატიური გავლენა.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის კითხვარი მცირემაშტაბიანი საგზაო სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

გმგ-ს კითხვარის გამოყენების საერთო ძირითადი პრინციპები

დაბალ-რისკიანი სამშენებლო პროექტებისათვის, როგორცაა მეორეხარისხოვანი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ან ველო ბილიკების მშენებლობა, ევროპისა და ცენტრალური აზიის უსაფრთხოების გუნდმა შეიმუშავა ალტერნატიული გმგ-ს (გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა) ფორმატი, რაც საშუალებას იძლევა, რომ მსოფლიო ბანკის ძირითად გარემოსდაცვის უსაფრთხოების მოთხოვნების უფრო რაციონალიზირებული მიდგომა წინა პლანზე წამოწეულიყო პროექტებში, რომლებიც (ა) მოცულობით პატარა ან დაგეგმილი სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე გააჩნიათ გარემოზე პოტენციურად ნაკლები ზემოქმედება, (ბ) განთავსებულია გარემოს შეფასებისა და მენეჯმენტის სისტემის კარგად ოპერირებად ქვეყნებში. კითხვარის ტიპის ფორმატი შემუშავებული იქნა იმისათვის, რომ მოხდეს რეკომენდებული ნორმების აღიარება და დანერგვა, რაც უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გმგ-ის კითხვარის ფორმატი ცდილობს მოიცვას პატარა, ლოკალური ზემოქმედების ან მარტივი, დაბალი რისკის მქონე სამშენებლო კონტრაქტების ძირითადი დამახასიათებელი შემამსუბუქებელი ღონისძიებები. აღნიშნული ფორმატი იძლევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის ძირითად ელემენტებს, რათა მოხდეს OP4.01-ით გათვალისწინებული B კატეგორიის პროექტებისათვის მსოფლიო ბანკის გარემოს შეფასების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ კითხვარის მიზანია, რომ მარტივი სამშენებლო კონტრაქტის კონტრაქტორებსა და ზედამხედველ ინჟინრებს შესთავაზოს პრაქტიკული, კონკრეტული და განხორციელებადი სახელმძღვანელო. ის შევსებული უნდა იქნას საბოლოო პროექტირების ეტაპზე და ცაკლე ან სახელმწიფო კანონის ფარგლებში მომზადებულ სხვა გარემოსდაცვით დაოკუმენტთან (მაგ: გარემოს შეფასების ანგარიში) ერთად უნდა წარმოადგენდეს სატენდერო დოკუმენტებისა და საბოლოოდ სამუშაოების კონტრაქტების განუყოფელ ნაწილს.

გმგ კითხვარს გააჩნია შემდეგი პარაგრაფები:

ნაწილი I მოიცავს აღწერილობით ნაწილს, რომელიც ახასიათებს პროექტს, განსაზღვრავს ინსტიტუციონალურ და მარეგულირებელ ასპექტებს, აღწერს ტექნიკური პროექტის შინაარსს, ხაზს უსვამს პოტენციალის შექმნის პოტენციურ საჭიროებას და მოკლედ აღწერს საჯარო კონსულტაციების პროცესს. ეს პარაგრაფი დაახლოებით უნდა იყოს ორი გვერდი. საჭიროებისდა მიხედვით დამატებითი ინფორმაციისათვის შესაძლოა დავამატოს დანართები.

ნაწილი II მოიცავს პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების სკრინინგის კითხვარს, სადაც ღონისძიებები და პოტენციური გარემოსდაცვითი საკითხები შეიძლება შემოწმდეს მარტივი დიახ/არა პრინციპით. თუ რომელიმე ღონისძიება/საკითხი ინიცირებული იქნება “დიახ“-ის მონიშვნით, მაშინ მომდევნო გ ნაწილის ცხრილში უნდა მოსდევდეს შესაბამისი პარაგრაფის მითითება, რომელიც უნდა ასახავდეს ზუსტად ჩამოყალიბებულ გარემოსდაცვით და სოციალურ მენეჯმენტსა და შემამსუბუქებელ ღონისძიებებს.

ნაწილი III წარმოადგენს გარემოსდაცვით შემამსუბუქებელ გეგმას, რასაც მოსდევს ბ ნაწილში ინიცირებული ღონისძიებების სათანადო შესრულება. მას აქვს იგივე ფორმატი, რაც საჭიროა გმგ-ებისათვის, რომელიც მომზადდა B კატეგორიის პროექტებისათვის სტანდარტული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ნაწილი IV მოიცავს მონიტორინგის მარტივ გეგმას, რაც საშუალებას აძლევს როგორც კონტრაქტორს ასევე უფლებამოსილ ორგანოს და მსოფლიო ბანკის სპეციალისტებს მონიტორინგი გაუწიონ გარემოს მენეჯმენტის და დამცავი ღონისძიებების ჯეროვან შესრულებას და დროულად აღმოაჩინონ ხარვეზები და უზუსტობები.

ბ და გ ნაწილი გვთავაზობს კონკრეტულ და აუცილებლად განსახორციელებელ გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებს, რომელიც გასაგებია არა სპეციალისტებისთვისაც (როგორცაა კონტრაქტორის მშენებლობის მენეჯერები) და ადვილია შესამოწმებლად და შესასრულებლად. გმგ-ები უნდა შევიდეს მოცულობათა უწყისებში და განხორციელდება უნდა განფასდეს პრეტენდენტების მიერ. დ ნაწილი ასევე განზრახ ჩამოყალიბდა მარტივად, რაც საშუალებას იძლევა, რომ ძირითადი პარამეტრების მონიტორინგი განხორციელდეს საშუალო არითმეტიკითა და არასპეციალისტი პერსონალის მიერ.

სარჩევი

- ა) პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია
- ბ) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- გ) შემამსუბუქებელი ღონისძიებები
- დ) მონიტორინგის გეგმა

ნაწილი I: პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა				
პროექტის სახელწოდება				
პროექტის მაშტაბი და ღონისძიებები				
საორგანიზაციო საკითხები (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი (პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი)	პროექტის მენეჯმენტი	ადგილობრივი მონაწილე მხარე და/ან მიმღები	
განხორციელება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	გარემოსდაცვის ზედამხედველი	ადგილობრივი ზედამხედველი	ადგილობრივი ინსპექცია	კონტრაქტორი
ობიექტის აღწერა				
ობიექტის დასახელება				
ობიექტის ადგილმდებარეობა			დანართი 1 :სამშენებლო უბნის რუკა <input type="checkbox"/> დიას <input type="checkbox"/> არა	
ვინ არის მიწის მესაკუთრე?				
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური ჰიდროგრაფიული და სოციალ ეკონომიკური გარემოს აღწერა				
მასალების მოპოვების ადგილმდებარეობა და მანძილი, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვების				
კანონმდებლობა				
საპროექტო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნაციონალური და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები				
საჯარო შესყიდვები				
სად და როდის ჩატარდა საჯარო შესყიდვა				
ინსტიტუციონალური გაძლიერება				
მოხდება თუ არა ინსტიტუციონალური გაძლიერება?	<input type="checkbox"/> არა ან <input type="checkbox"/> დიას; დადებითი პასუხის შემთხვევაში, დანართი 2 მოიცავს ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამას			

ნაწილი II: დამცავი პოლიტიკის დოკუმენტების სკრინინგი და მათი ამოქმედების პირობები

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სკრინინგი უსაფრთხოების პოლიტიკის ასამოქმედებლად			
	სამუშაოები/საკითხი	სტატუსი	გამშვები მექანიზმი
მოიცავს თუ არა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები შემდგომ?	ა. გზების რეაბილიტაცია	[] დიახ [] მარა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ა“
	ბ. ახალი მცირემაშტაბიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა	[] დიახ [] მარა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ა“
	გ. გავლენა ზედაპირულ სადრენაორ სისტემაზე	[] დიახ [] მარა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ბ“
	დ. ისტორიული ნაგებობა(ები) და ოლქები	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „გ“
	ე. მიწების შესყიდვა ¹	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „დ“
	ვ. სახიფათო და ტოქსიკური მასალები ²	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ე“
	ზ. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ვ“
	თ. ასაფეთქებელი ნაგებობების არსებობის რისკი	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „ზ“
	ი. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[] დიახ [] არა	თუ „დიახ“ იხ. ნაწილი „თ“

¹ მიწების შესყიდვა მოიცავს ხაღხის ადგილმონაცვლეობას, ცხოვრების წესის შეცვლას, ეს ეხება იმ მიწას რომლის შესყიდვა/გადაცემა მოხდა და გავლენა აქვს იმ პირებზე, ვინც ცხოვრობს და/ან უკანონოდ იმყოფება და/ან ეწევა ბიზნეს საქმიანობას (ჯიხურები) იმ მიწაზე, რომლის შექმნაც მოხდა.

² ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ასბესტი, ტოქსიკური საღებავები, მანე გამხსნელი ნივთიერებები, ტყვიის შემცველი საღებავების მოცილება და სხვა.

ნაწილი III: შემამსუბუქებელი ღონისძიებები

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება</p>	<p>(ა) ადგილობრივი მშენებლობის და გარემოს დაცვის ინსპექციის და დევილოპრივი თემის წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ მოსალოდნელი სამუშაოების შესახებ.</p> <p>(ბ) საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სამუშაოების შესახებ მედიის საშუალებით და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ობიექტებზე (მათ შორის სამუშაოების ობიექტი) სათანადო შეტყობინების გაგზავნის გზით</p> <p>(გ) გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა იურიდიული ნებართვა უნდა იქნას მოპოვებული</p> <p>(დ) კონტრაქტორი ფორმალურად უნდა იყოს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რაც შეამცირებს ზემოქმედებას ახლომდებარე მოსახლეობაზე და გარემოზე.</p> <p>(ე) მუშათა პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობები () უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ყოველთვის უნდა ატარონ ჩაფხუტები, საჭიროებისამებრ ნიღბები და უსაფრთხოების სათვალე, უსაფრთხო ფეხსაცმელები)</p> <p>(ვ) სამშენებლო მოედანზე განთავსებული შესაბამისი მანქანები უნდა შეახსენებდეს მუშა ხელს ძირითადი წესებისა და კანონების შესახებ</p>
<p>ა. რეაბილიტაციისა და მშენებლობის ზოგადი ღონისძიებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(ა) მიწის სამუშაოების დროს მტვრის კონტროლი ხორციელდება მაგ. ნიადაგის მორწყვით ან დატენიანებით.</p> <p>(ბ) ნანგრევები, ამოღებული მიწა და აგრეგატები განთავსდება კონტროლირებად ტერიტორიაზე და პერიოდულად მორწყება, რათა შემცირდეს მტვრის წარმოშობა.</p> <p>(გ) პნევმატური ბურღვის, ან საფარის მტვრევის და გზის საფუძვლების დაშლის სამუშაოების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შემცირდეს მორწყვის საშუალებით და/ან ობიექტზე უნდა დამონტაჟდეს მტვრის საკონტროლო მოწყობილობები.</p> <p>(დ) მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარი, გზა) არ განთავსდება სამშენებლო ნარჩენები და მიწა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მტვრის წარმოქმნის რისკები.</p> <p>(ე) სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის ღიად დაწვა არ დაიშვება სამშენებლო მოედანზე.</p> <p>(ვ) მანქანა დანადგარები შესაბამისობაში უნდა იქნეს ემისიების წარმოშობის რეგულაციებთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო ტექნიკური რემონტი და მომსახურება, და მოედანზე ზედმეტი უქმად მდგომი სამშენებლო მანქანები არ უნდა იყოს.</p>
<p>ხმაური</p>	<p>ხმაური</p>	<p>(ა) ხმაური შეიზღუდება ნებართვით დადგენილ გარკვეული დროებში.</p> <p>(ბ) გენერატორების, ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის თავსახურები მუშაობის პერიოდში დაკეტილი უნდა იყოს და დანადგარები განთავსებული უნდა იყოს დასახლებული პუნქტებისაგან რაც შეიძლება შორს.</p>
<p>წყლის ხარისხი</p>	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(ა) ობიექტზე გატარდება ეროზიისა და სედიმენტების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა მაგალითად: თივის ზვინები და/ან შლამსაჭერი, რათა თავიდან იქნეს აუცილებელი ნაღვეის მოედანზე გავრცელება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემების, ღელეების და მდინარეების დაზინძურება.</p>
<p>სამშენებლო ნარჩენების მართვა</p>	<p>სამშენებლო ნარჩენების მართვა</p>	<p>(ა) ნაგვის მოსაგროვებელი და გადასაყრელი ადგილები განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ნაგვის ტიპისათვის, რომელიც წარმოიშვება მიწის სამუშაოების, დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად.</p>

		<p>(ბ) მშენებლობის და დემონტაჟის შედაგად დარჩენილი მინერალური ნაგავი/ნარჩენები უნდა განცალკევდეს საერთო, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნაგავისაგან და ადგილზე უნდა დახარისხდეს და შეიქმნას შესაბამისი შემნახველი კონტეინერები.</p> <p>(გ) სამშენებლო ნარჩენებს მოაგროვებს და გაიტანს ლიცენზირებული კომპანია</p> <p>(დ) იმისათვის, რომ გაკონტროლებული იყოს ნარჩენების განთავსების სისწორე და სტანდარტებთან შესაბამისობა, საჭიროა მოხდეს ნაგავის გატანის ჩანაწერის წარმოება</p> <p>(ე) შესაძლოა მშენებელმა ხელმეორედ გამოიყენოს და რეციკლირება გაუკეთის ვარგის მასალებს (გარდა ასბესტის შემცველი მასალებისა)</p>
<p>ბ. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე</p>	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(ა) ადგილი არ უნდა ჰქონდეს გრუნტის წყლების არაკონტროლირებად ამოღებას, არც ტექნიკური წყლების, ცემენტის ხსნარის ან სხვა დაბინძურებული წყლების არაკონტროლირებად დაცლას მიწაზე ან ახლომდებარე მდინარეში ან ნაკადულში; კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა წყლის მოსაპოვებლად და შემდგომ გამოყენებული წყლის გადასადგურებლად სახელმწიფო გამდინარე წყლების სტემაში.</p> <p>(ბ) უნდა მოეწყოს სათანადო კანალიზაციის სისტემა ისე, რომ სამშენებლო სამუშაოებმა შლამით არ გატყდოს, დააბინძუროს ან დაბლოკოს ან სხვაგვარად უარყოფითი ზეგავლენა არ იქონიოს ბუნებრივ ნაკადულზე/დედნებზე, მდინარეებზე, წყალსატევებსა და ტბებზე.</p> <p>(გ) უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები საწვავის, საპოხი მასალების და სხვა ტოქსიკური და მავნე ნივთიერებების დაღვრის საწინააღმდეგოდ.</p> <p>(დ) სამშენებლო მანქანები და დანადგარები გაირეცხება მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, სადაც წყლის გადინება არ დააბინძურებს წყლის შემკრების/რეზერვუარის ზედაპირს.</p>
<p>გ. ისტორიული ძეგლი(ები)</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობა</p>	<p>(ა) იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა განხორციელდება ისტორიული ნაგებობების სიახლოვეს, ან ისტორიულ უბანში, უნდა მოხდეს შეტყობინება და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებიდან თანხმობის/ნებართვების აღება. ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილობრივი და ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>(ბ) ექსკავირების ან მშენებლობის დროს უძველესი ხანის კულტურული ნაშთების ან სხვა შესაძლო არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია ამ ფაქტის დაფიქსირება და რეგისტრირება, პასუხისმგებელი ოფიციალური უწყებების საქმის კურსში ჩაყენება და სამუშაოების შეჩერება ან შეცვლა წარმოშობილი გარემოების გათვალისწინებით.</p>
<p>დ. მიწის შესყიდვა</p>	<p>მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი</p>	<p>(ე) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ საჭირო გახდა, ან ადგილი ექნება მიწის კანონიერი თუ უკანონო მესაკუთრის მხრიდან შემოსავლის გაუთვალისწინებელ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბანკის პროგრამების ჯგუფის ხელმძღვანელს.</p> <p>(დ) უნდა განხორციელდეს დამტკიცებული მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი (თუკი ეს მოთხოვნილია პროექტით)</p>
<p>ე. ტოქსიკური მასალები</p>	<p>ასბესტის მართვა</p>	<p>(ა) სამშენებლო მოედანზე ასბესტის არსებობის შემთხვევაში, იგი მკაფიოდ უნდა მოინიშნოს როგორც სახიფათო მასალა.</p> <p>(ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში, ასბესტი სათანადო ნორმების დაცვით უნდა განთავსდეს კონტეინერებში და დაილუქოს მავნე ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირების მიზნით.</p> <p>(გ) გატანამდე (თუ გატანა აუცილებელია) ასბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი ნივთიერებით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ჰაერში ასბესტის მტვრის ნაწილაკების მოხვედრა.</p>

		<p>(დ) ასბესტის მართვა და გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტების მიერ.</p> <p>(ე) ასბესტის დროებით შენახვის შემთხვევაში, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში და სათანადოდ მოინიშნოს. სახიფათო ნარჩენის გატანა უნდა მოხდეს შესაბამისი ლიცენზირებული კომპანიის მიერ.</p> <p>(ვ) არ შეიძლება ერთხელ გატანილი ასბესტის ხელმეორედ გამოყენება</p>
	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	<p>(ა) სამშენებლო უბანზე სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და გამოყენების შესახებ.</p> <p>(ბ) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები დაღვრის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში.</p> <p>(გ) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზირებული გადაამტანების მიერ. ნარჩენები უნდა განთავსდეს ლიცენზირებულ ადგილას.</p> <p>(დ) არ მოხდება ტოქსიკური შემადგენლობის მქონე საღებავების ან გამსხნელების და ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.</p>
გ. ტყეებზე, ჭაობიან და/ ან დაცულ ტერიტორიებზე ზეგაგლენა	ეკოსისტემის დაცვა	<p>(ა) არ უნდა მოხდეს იდენტიფიცირებული ბუნებრივი ჰაბიტატების, ჭაობიანი ადგილებისა და დაცული ტერიტორიების დაზიანება ან გამოყენება სამუშაოების მიმდინარეობის სიახლოვეს. მთელს პერსონალს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, სურსათის მოპოვება და გარემოსთვის ზიანის მომტანი სხვა ქმედებები.</p> <p>(ბ) უნდა მოხდეს სამშენებლო ღონისძიებების სიახლოვეს არსებული დიდი ზომის ხეების აღრიცხვა, მონიშვნა და შემოღობვა, მშენებლობის პერიოდში ხეებისა და მათი ფესვთა სისტემის მექანიკური ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით.</p> <p>(გ) მიმდებარე ჭაობიანი ადგილები და ნაკადულები დაცული უნდა იყოს სამშენებლო უბნიდან სელიმენტების მოხვედრისა და ეროზიისაგან, რისთვისაც გამოყენებული იქნება თივის ზვინები და შლამდამჭერი მოწყობილობები.</p> <p>(დ) არ დაიშვება მიმდებარე ტერიტორიაზე და განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიაზე არალიცენზირებული კარიერების, ქვის სამტეხლოების ან ნაგავსაყრელების გამოყენება.</p>
ზ. ასაფეთქებელი ნაგებობების არსებობის რისკი	ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები	<p>(ა) ექსკავაციის სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სამშენებლო უბანი შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებული და გასუფთავებულია ასაფეთქებელი ნაგებობებისაგან</p>
თ. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო ღონისძიებების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეთაზე	<p>(ბ) ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო უბნის სათანადო უსაფრთხოება და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და მოძრაობის გადართვა: მშენებლობის ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ხილვადობა და საზოგადოების გაფრთხილება შესაძლო რისკების შესახებ; ▪ სატრანსპორტო მოძრაობის სისტემა და თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ობიექტთან მისვლისა და სამშენებლო უბნის სიახლოვეს დატვირთული მოძრაობის საკითხებზე. ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გასასვლელებისა და

		<p>გზაჯვარედინების უზრუნველყოფა იმ ადგილებში, სადაც მშენებლობა აფერხებს მოძრაობას;</p> <ul style="list-style-type: none">▪ სამუშაო საათების რეგულირება ადგილობრივი მოძრაობის სქემასთან, მაგ: პიკის საათებში ან შინაური საქონლის მოძრაობის დროს ძირითადი ტრანსპორტის გადაადგილების თავიდან აცილება.▪ საჭიროების შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი პერსონალის მიერ საზოგადოების უსაფრთხო გადაადგილებისათვის.▪ მშენებლობის პერიოდში ახლომდებარე სამუშაო დაწესებულებებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისასვლელების უზრუნველყოფა
--	--	--

ნაწილი IV: მონიტორინგის გეგმა

ფაზა	რა (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	სად (არის, პარამეტრი, რომელზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როგორია (პარამეტრი, რომელზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	როდის (განისაზღვრება სისშირე/ან ხანგრძლივობა?)	რატომ (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ?)	ღირებულება (შედის თუ პროექტის ბიუჯეტში)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
მუშაობის პერიოდში მომზადება							
მუშაობის პერიოდში ზედამხედველობა							

ველზე განსახორციელებელი ყოველთვიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ფორმა

ზოგადი ინფორმაცია	რიცხვი / თვე / წელი			
	ანგარიში მომზადებულია			
	სამშენებლო მოედნის დასახელება და ადგილმდებარეობა			
	კონტრაქტორის/ქვე-კონტრაქტორის დასახელება			
ნებართვები, ხელშეკრულებები	მშენებლობის პერიოდში კარიერების გახსნის ნებართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო ნაგვის გატანის ხელშეკრულება	დიახ	არა	N/A
	ნებართვა ასფალტის/ბეტონის ქარხნის მუშაობაზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სამშენებლო ობიექტების მართვა	სამშენებლო მოედნის/ბანაკების სწორად განთავსება და მოვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	საწვავის, ზეთების და სამშენებლო მასალების სწორად შენახვა	დიახ	არა	N/A
	სამშენებლო მანქანა-მექანიზმების და მოწყობილობების (საწვავის, ზეთის, საპოხი მასალის და ა.შ. გაჟონვის თავიდან აცილება) სწორი ტექნიკური მომსახურება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო მოედანზე ადგილების წინასწარი ხელმისაწვდომობა, სადაც მოთავსდება ამოთხრისა და დანგრევის შედეგად მიღებული ნაგავი	დიახ	არა	N/A
	ამოთხრილი მასალის, ნანგრევების და სამშენებლო ნაგვის დროული გატანა წინასწარი დაგროვების ადგილებიდან და მოთავსება დაგეგმილ და შეთანხმებულ ადგილებზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო მასალებისა და ნაგვის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება გადახურული სატვირთო მანქანები	დიახ	არა	N/A
	სამშენებლო ზონაში (საჭიროებისამებრ) დაასუფთავეთ გარშემო ტერიტორია მტვრისაგან წყლის შესხურებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	დიახ	არა	N/A	

	სამუშაოების განხორციელება განსაზღვრულ დროს (მაგ: მუშაობა დღისით)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო მოედნებზე, ბანაკებში და მისასვლელი გზების გასწვრივ გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო მოედანზე მუშებისათვის სათანადო სანიტარული/ჰიგიენური პირობები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სამშენებლო მოედნებისა და ბანაკების აღდგენა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
უსაფრთხოების დონისძიებები	მუშები უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი უსაფრთხოების ტექ. ტანსაცმელით (მათ შორის: ჩაფხუტები, ხელთათმანები, მაღალი ჩექმები, რესპირატორები, სათვალები, და აშ) და იყენებენ მათ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტის შესახებ პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული საჯარო შეხვედრის ოქმი